სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერტიფიკატებისა და მოწმობების გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს წესი ადგენს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) სერტიფიკატებისა და მოწმობების გაცემის სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 2. სერტიფიკატისა და მოწმობის მიღებაზე უფლებამოსილი პირები

1. სერტიფიკატი გაიცემა პირზე, რომელმაც:

ა) გაიარა უნივერსიტეტის 60 კრედიტიანი პროგრამა პედაგოგიკაში;

ბ) დაამთავრა უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მეორადი სწავლების კურსი;

გ) დაამთავრა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

დ) დაამთავრა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები.

2. მოწმობა გაიცემა პირზე:

ა) რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობდა აკადემიურ პროგრამაზე, თუმცა არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური;

ბ) რომელმაც დაამთავრა რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამა.

მუხლი 3. სერტიფიკატისა და მოწმობის შემუშავება

სერტიფიკატისა და მოწმობის ფორმებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი.

მუხლი 4. სერტიფიკატსა და მოწმობაში შესატანი ინფორმაცია

1. სერტიფიკატისა და მოწმობის დამტკიცებულ ფორმაში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) პირის სახელი და გვარი, რომელზეც გაიცემა სერტიფიკატი ან მოწმობა;

ბ)ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდისა და პროგრამის დასახელების მითითებით(სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში);

გ)ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდის შესახებ, შესწავლილი დისციპლინებისა და შესაბამისი შეფასებების მითითებით/ინფორმაცია რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების პერიოდის შესახებ (მოწმობის შემთხვევაში);

დ) რექტორის ხელმოწერა, სახელი და გვარი ბეჭდურად;

ე) სარეგისტრაციო ნომერი;

ვ) გაცემის თარიღი;
ზ)უნივერსიტეტის ბეჭედი.

2. სერტიფიკატი და მოწმობა ივსება სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 6. ახალი სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემა

1. სერტიფიკატისა ან მოწმობის დაკარგვის ან მათში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს გასცეს ახალი სერტიფიკატი ან მოწმობა.
2. ახალი სერთიფიკატის ან მოწმობის მისაღებად უფლებამოსილი პირი დასაბუთებული განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს.